

კონვენციის კონკრეტული მუხლების მიმართ დათქმების, შეტყობინებისა და განცხადებების გაკეთების მიზანშეწონილობის საკითხი

#### მუხლი 44 (ექსტრადიცია)

„კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონვენციის წევრ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული კონვენცია გამოიყენოს, როგორც ექსტრადიციაზე თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან, რის შესახებაც სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების (საქართველოსთვის – შეერთება) სიგელის დეკონირებისას უნდა აცნობოს გაეროს გენერალურ მდივანს. საქართველოს მიერ კონვენციასთან შეერთებისას მიზანშეწონილია გაკეთდეს შესაბამისი შეტყობინება, რომლის თანახმადაც საქართველო განიხილავს კონვენციას, როგორც ექსტრადიციაზე თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძველს სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებაში ნაცვალგების პრინციპით. აღნიშნული შეტყობინებით საქართველო გააფართოვებს იმ სახელმწიფოთა წრეს, რომელთანაც ექნება დადებული ექსტრადიციის ხელშეკრულება (მაგ. კონვენციას ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობისთვის იყენებს კანადა, ჩილე, ბოლივია, კოსტა რიკა, პარაგვაი, რომელთანაც ექსტრადიციის ხელშეკრულება არ გვაქვს დადებული).

#### მუხლი 46

კონვენციის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის გამცემი და მიმღები ცენტრალური სახელმწიფო ორგანო, რის შესახებაც სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან შეერთების (საქართველოსთვის შეერთება) სიგელის დეკონირებისას უნდა აცნობოს გაეროს გენერალურ მდივანს.

საქართველოს მიერ კონვენციასთან შეერთებისას მიზანშეწონილია გაკეთდეს შესაბამისი შეტყობინება, რომლის თანახმადაც საქართველო სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის გამცემ და მიმღებ ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებად განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას (აღნიშნული სახელმწიფო ორგანოები ასევე განსაზღვრულია, როგორც ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები, კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციასთან (ეროპის საბჭო) მიმართებაშიც).

კონვენციის 46-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, მიზანშეწონილია საქართველოს მიერ კონვენციასთან შეერთებისას გაკეთდეს შეტყობინება, რომლის შესაბამისად, საქართველო სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნას მიიღებს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

## მუხლი 66

კონვენციის 66-ე მუხლი ეხება კონვენციის ინტერპრეტაციისა და მისი გამოყენების დროს წარმოშობილი დავების გადაწყვეტას.

კონვენციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული დავის გადაწყვეტას სპეციალურად ამისათვის შექმნილი არბიტრაჟის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თხოვნის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის შემადგენლობის დაკომპლექტებაზე, მაშინ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის თხოვნის საფუძველზე შესაძლებელია დავა განსახილველად გადაეცეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მისი სტატუსის შესაბამისად.

კონვენციის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიზანშეწონილია საქართველოს მიერ კონვენციასთან შეერთებისას გაკეთდეს დათქმა, რომლის მიხედვითაც საქართველო გამორიცხავს კონვენციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დავის განხილვას არბიტრაჟის მიერ.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია საქართველოს ცნობილი აქვს, როგორც საუაღდებულო *ipso facto*, ყოველგვარი სპეციალური შეთანხმების გარეშე, რაც გულისხმობს იმას, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, კონვენციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტზე დათქმის მიუხედავად, მაინც დარჩება დავის განმხილველ შესაძლო ორგანოდ. თუმცა, საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღნიშნული დათქმის გაკეთება გამორიცხავს კონვენციის ინტერპრეტაციისა და მისი გამოყენების დროს წარმოშობილი დავების არბიტრაჟის მიერ განხილვის შესაძლებლობას.